27 სექტემბერი 2022 წ. №01-ა/2022

შპს ,,გამომცემლობა კოლორი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2021 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა....3

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 8

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 10

კონსოლიდაციის გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.... 11

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 12

კონსოლიდაციის გავლენა მოგებისა და ზარალის და გაუნაწ.მოგების ანგარიშებაზე....13

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება....14

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 15

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები 16

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,გამომცემლობა კოლორის“ მენეჯმენტს:

ჩვენ ჩავატარეთ შპს ,,გამომცემლობა კოლორი“ - ს (კომპანია) და მისი შვილობილების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რაც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას; ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, აგრეთვე ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (მსს ფასს) დაყრდნობით.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში მოყვანილი საკითხებისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად (ან უტყუარად და სამართლიანად) ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი:

განსაზღვრული შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ჯგუფი ახორციელებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას. შესაბამისად, მივიღეთ დოკუმენტაცია 2021 წლის ბოლოს განხორციელებულ ინვენტარიზაციებთან დაკავშირებით, მაგრამ რადგან აუდიტის პროცესი დაიწყო 2022 წელს, ბუნებრივია, რომ აუდიტორები ვერ დავესწარით 2021 წლის ბოლოს განხორციელებულ აღნიშნულ პროცესს. მოწოდებული დოკუმენტების მიმართ რწმუნების მოსაპოვებლად, ჩვენ დამატებით, შერჩევის გზით, 2022 წელს მოვახდინეთ სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა სახეობების მარაგების ინვენტარიზაცია. ამ პროცესშიც, მატერიალური ცდომილება არ გამოვლენილა.

ვერ განვსაზღვრეთ, აღნიშნული თარიღისთვის, კორექტირების ოდენობა დაუმთავრებელი წარმოებისა და მზა პროდუქციის ნაშთებში, რამდენადაც არ ხდება ხელფასის კაპიტალიზირება მარაგებში და წარმოებაში დასაქმებული მუშახელის ხელფასი არ კაპიტალიზირდება მზა პროდუქციის თვითღირებულებაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებიც. ვთვლით, რომ ჩვენს მიერ

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად.

- **ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მცირე და საშუალო საწარმოთათვის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

- **აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები არ შეიცავს უნებლიე თუ განზრახ დაშვებულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების - ფასს მცირე და საშუალო საწარმოთათვის საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი ცდომილებების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის (ISA) შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე, ჩვენ:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას.

- არსებითი ცდომილების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეულ უზუსტიბის რისკზე უფრო მაღალია, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისთვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვისქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა და მოვახდინოთ აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ორგანიზაცია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპებით.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

- **სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში**
- **დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში**

- **შესავალი**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გამომცემლობა კოლორი“ - ს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად მომზადებული, 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობითი კონსოლიდირებული ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

- **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობითი კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

- **დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო**

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე. ჩვენ მომსახურება შევასრულეთ, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, (მგსს) 3000 (გადასინჯული). ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობით კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, ჯგუფის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორცილეთ რაოდენობრივი და სხვა სახის მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

- **მოსაზრება**

ჩვენი აზრით, 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობითი კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობით კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მმართველობით კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-329711)

გარიგების პარტნიორი: თამარ კოკელაძე
(რეგ. № SARAS-A-977853)

შპს „გამომცემლობა კოლორი“ - ს მენეჯმენტის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთ აღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების - მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) დაცვით.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ფართო წრეებს, იმ პირებს რომლებსაც არ გააჩნიათ იმის უფლებამოსილება, რომ საწარმოს მოსთხოვონ მათ სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშების მომზადება და დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსური ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულებას - მისთვის მინდობილი რესურსების უნარიანი მართვის შედეგებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების ამორჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;

- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში შიდა კონტროლის ეფექტური და მყარი სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს) - ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, სადაც საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი, ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2022 წლის 27 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

_____	_____
დირექტორი	ფინანსური მენეჯერი
სანდრო გახელაძე	თორნიკე სიმონია
27/09/2022	27/09/2022
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

შპს „გამომცემლობა კოლორი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრები	387,290	649,669	420,510
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,101,456	4,903,185	4,926,444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,057,003	5,512,089	5,720,129
გაცემული ავანსები	130,456	469,103	446,994
გაცემული სესხები	-	18,034	656,162
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	22,605	1,338	773
ძირითადი საშუალებები	12,913,556	13,675,511	17,285,751
არამატერიალური აქტივები	35,676	46,915	145,527
სხვა საგადასახადო აქტივები	676,241	80,301	84,734
სხვა აქტივები	3,655	3,249,166	3,265,412
სულ აქტივები	**24,327,939**	**28,605,309**	**32,952,437**
ვალდებულებები			
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ	82,473	541,442	174,425
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,526,412	5,054,019	4,747,781
მიღებული ავანსები	783,267	612,554	1,326,361
მოგების გადასახადის ვალდებულება	-	13	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	111,957	266,008
აღებული სესხები	15,316,506	17,276,016	21,864,217
სხვა ვალდებულებები	8,253	4,461,173	472,893
სულ ვალდებულებები	**20,716,911**	**28,057,174**	**28,851,685**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	3,513,132	451,091	4,004,341
არაკონტროლირებადი წილი	95,897	95,044	94,412
სულ საკუთარი კაპიტალი	**3,611,029**	**548,135**	**4,100,752**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2022 წლის 27 სექტემბერს.

_____ სანდრო გახელაძე
დირექტორი

_____ თორნიკე სიმონია
ფინანსური მენეჯერი

შპს "გამომცემლობა კოლორი"
კონსოლიდაციის გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

	გავლენა წაშთი **31.12.2019**		*გავლენა წაშთი* **31.12.2020**		*გავლენა წაშთი* **31.12.2021**	
	ინვესტიციების ელიმინაციები	შიდა ტრანზაქციები	ინვესტიციების ელიმინაციები	შიდა ტრანზაქციები	ინვესტიციების ელიმინაციები	შიდა ტრანზაქციები
აქტივები						
001. ფული და ფულადი სახსრები	-	-	-	-	-	-
002. სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-	-
003. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	(1,053,819)	-	(965,071)	-	(257,191)
004. გაცემული ავანსები	-	-	-	(14,791)	-	(549)
005. გაცემული სესხები	-	(15,013)	-	(573,891)	-	(352,273)
006. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	(334,925)	-	(8,918,447)	-	(9,219,447)	-
007. ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	-	-	-	-	-	-
008. ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	-	-	-	-
009. ძირითადი საშუალებები	-	(329)	-	-	-	-
010. არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	-
011. გუდვილი	-	-	-	-	-	-
015. სხვა აქტივები	-	-	3,241,729	-	3,259,722	-
სულ აქტივები	**(334,925)**	**(1,069,161)**	**(5,676,719)**	**(1,553,753)**	**(5,959,725)**	**(610,012)**
ვალდებულებები						
016. სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ	-	-	-	-	-	-
017. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1,053,819	-	965,071	-	257,191
018. მიღებული ავანსები	-	-	-	14,791	-	549
019. მოგების გადასახადის ვალდებულება	-	-	-	-	-	-
020. გადავადებული მოგების გადას. ვალდებუ	-	-	-	-	-	-
021. სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
022. აღებული სესხები	-	15,013	-	573,891	-	352,273
023. სხვა ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
სულ ვალდებულებები	**-**	**1,068,832**	**-**	**1,553,753**	**-**	**610,012**
საკუთარი კაპიტალი						
024. საწესდებო კაპიტალი	334,775	-	4,993,465	-	5,294,465	-
025. სარეზერვო კაპიტალი	-	-	-	-	-	-
026. გაუნაწილებელი მოგება	150	329	683,253	-	665,260	-
027. მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	-	-	-	-	-	-
028. არაკონტროლირებადი წილი	-	-	-	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	**334,925**	**329**	**5,676,719**	**-**	**5,959,725**	**-**

შპს „გამომცემლობა კოლორი“
კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

	2020 წ	2021 წ
სულ წმინდა შემოსავალი	**28,455,577**	**39,817,755**
სულ თვითღირებულება	**(17,096,861)**	**(24,972,513)**
სასაქონლო მოგება	**11,358,716**	**14,845,241**
შრომის ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა სარგებელი	(5,472,969)	(6,651,372)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	(518,479)	(969,083)
ლოჯისტიკური ხარჯი	(173,727)	(254,047)
იჯარის ხარჯი	(1,169,842)	(435,915)
მარკეტინგული და კომერციული ხარჯი	-	-
რემონტის ხარჯი	(94,985)	(93,697)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(38,269)	(35,412)
საკონსულტაციო მომსახურება	(235,468)	(352,806)
საეჭვო ვალების რეზერვი	(139,944)	(578,904)
საგადასახადო ხარჯი	(188,900)	(363,092)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(375,088)	(288,918)
საპროცენტო შემოსავალი	96,058	5,782
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	61,950	1,898,936
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	903,971	533,506
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(3,301,112)	(91,527)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(117,830)	(52,239)
მოგება ცვეთის, საპროცენტო ხარჯისა და მოგების გადასახადის გარეშე	**594,080**	**7,116,453**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(2,096,301)	(1,583,489)
მოგება საპროცენტო ხარჯისა და მოგების გადასახადის გარეშე	**(1,502,221)**	**5,532,964**
საპროცენტო ხარჯი	(897,445)	(1,397,435)
მოგება მოგების გადასახადის გარეშე	**(2,399,666)**	**4,135,529**
მოგების გადასახადი	(41,123)	(60,714)
წმინდა მოგება	**(2,440,789)**	**4,074,815**
მათ შორის: წმინდა მოგების არაკონტროლირებადი წილი	**(853)**	**(632)**
პერიოდის წმინდა მოგება	**(2,439,935)**	**4,075,448**
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში	**3,513,132**	**451,091**
პერიოდის წმინდა მოგება/ ზარალი	(2,439,935)	4,075,448
ინვესტირება საწესდებო კაპიტალში	-	-
გაცხადებული დივიდენდი	(622,105)	(522,198)
გაუნაწილებელი მოგების გადაფასება	-	-
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს	**451,091**	**4,004,341**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2022 წლის 27 სექტემბერი.

_____ სანდრო გახელაძე
დირექტორი

_____ თორნიკე სიმონია
ფინანსური მენეჯერი

შპს "გამომცემლობა კოლორი"
კონსოლიდაციის გავლენა მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაზე

	2020 წ	2021 წ
საოპერაციო შემოსავლები	(3,192,773)	(1,583,342)
თვითღირებულების ხარჯები	3,083,522	852,705
063. ხელფასის ხარჯი	-	-
064. ტრანსპორტირების ხარჯი	8,136	12,797
065. იჯარის ხარჯი	100,895	714,530
066. კომერციული ხარჯი	-	2,000
075. სამეურნეო ხარჯი	101	191
076. საკანცელარიო ხარჯი	-	-
078. შენობა-ნაგებობების რემონტის ხარჯი	-	1,119
089. წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-
101. სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	119	-
102. საპროცენტო შემოსავალი	(32,705)	(56,071)
104. საიჯარო შემოსავალი	-	-
108. მიღებული დივიდენდი	(671,072)	(1,684,200)
109. სხვა არა-საოპერაციო შემოსავლები	-	-
110. საპროცენტო ხარჯი	32,705	56,071
ჯამი	**(671,072)**	**(1,684,200)**

შპს „გამომცემლობა კოლორი“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

	2020 წ	2021 წ
ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი შემოდინებები საოპერაციო საქმიანობიდან	29,785,926	43,652,675
სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო ფულადი შემოდინებები	370,473	1,105,477
მომწოდებელთან გადახდილი თანხები	(15,751,301)	(26,242,830)
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(4,687,869)	(5,687,859)
კომუნიკაციის და კომუნალური გადასახადები	(492,826)	(1,003,808)
ლოჯისტიკური გადასახადები	(174,386)	(513,741)
მარკეტინგი და კომერცია	-	-
საიჯარო მომსახურება	(1,033,245)	(743,198)
რემონტი	(307,281)	(196,576)
ბანკის საკომისიო	(36,262)	(38,788)
საკონსულტაციო მომსახურება	(250,412)	(376,056)
გადახდილი გადასახადები	(1,569,150)	(3,323,351)
სხვა საოპერაციო ფულადი გადინებები	(270,267)	(308,712)
სულ ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**5,583,400**	**6,323,234**
ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,062,372)	(7,072,098)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(13,687)	(33,892)
შვილობილი კომპანიის შეძენა	(1,605,671)	(3,852,096)
აქციებისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვა	304,750	-
სესხის გაცემა / უკან დაბრუნება	123,500	800
მიღებული დივიდენდი	44,343	-
მიღებული პროცენტი	4,824	8,258
სულ ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(2,204,311)**	**(10,949,028)**
ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
პროცენტის გადახდა	(834,330)	(1,377,461)
სესხის აღება / უკან დაბრუნება	(957,631)	6,144,004
აქციების ემისია	(675,781)	-
მიღებული გრანტი	-	186,049
დივიდენდის გაცემა	(648,968)	(555,958)
სულ ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(3,116,710)**	**4,396,635**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	**387,290**	**649,669**
ფული და ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდის განმავლობაში	**262,379**	**(229,159)**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	**649,669**	**420,510**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2022 წლის 27 სექტემბერი.

_____ სანდრო გახელაძე
დირექტორი

_____ თორნიკე სიმონია
ფინანსური მენეჯერი

შპს „გამომცემლობა კოლორი“
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	*ნაშთი 01.01.2021*	*არამაკონტროლებელი წილის ცვლილება*	*მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)*	*დარიცხული დივიდენდი*	*ნაშთი 31.12.2021*
საწესდებო კაპიტალი	2,000	-	-	-	2,000
გაუნაწილებელი მოგება	451,091	-	4,075,448	(522,198)	4,004,341
არაკონტროლირებადი წილი	95,044	(632)	-	-	94,412
სულ კაპიტალი	**548,135**				**4,100,752**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2022 წლის 27 სექტემბერი.

_____ სანდრო გახელაძე
დირექტორი

_____ თორნიკე სიმონია
ფინანსური მენეჯერი

1. ზოგადი ინფორმაცია

- **კომპანია და მისი საქმიანობა**

შპს “გამომცემლობა კოლორი” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 1996 წლის 13 თებერვალს. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს პოლიგრაფია და საგამომცემლო მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ეკატერინე ბაღდავაძის ქ., N3

კომპანიის მფლობელები არიან: თამარ გაგნიძე - 50%, ზაზა ბუაძე - 8.6% და შპს „კვირის პალიტრა“ – 41.4%. შპს „კვირის პალიტრის“ მფლობელები არიან: ზაზა ბუაძე - 25% და ირაკლი თევდორაშვილი - 75%.

კომპანია ფლობს ორგანიზაციებს შემდეგი წილობრივი მონაწილეობით - შპს „კოლორპაკი“ - 100%, შპს „კოლორპრესი“ - 100%, შპს „ეკო პეიპერი“ - 75%, სს „ავტომობილისტი“ - 100%, შპს „მვპ პრინტი“ - 100%, სპს კონსორციუმი - ქართული სტამბების გაერთიანება სეზანი, ფავორიტი სტილი, გამომცემლობა კოლორი - 24.5 %.

კომპანია და შვილობილები მოიხსენიება ერთად როგორც ჯგუფი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

- **მომზადების საფუძვლები**

ჯგუფი ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის“ (IFRS for SMEs) მიხედვით. კომპანიის ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდისათვის ეფექტურ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი არ გამორიცხავს ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებების საჭიროების წარმოქმნის შესაძლებლობას.

მენეჯმენტი ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რამდენადაც ის შეიცავს შესადარ ფინანსურ ინფორმაციას.

- **შეფასების საფუძველი**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ზოგადად, ისტორიული ღირებულება დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად, ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისათვის.

3. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

- **კონსოლიდაციის საფუძველი**

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მისი შვილობილის შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებს და ვალდებულებებს.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღიდან როდესაც მშობელი კომპანია კარგავს ამ კონტროლს.

- **კონსოლიდაციის პროცედურები**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმომ უნდა:

ა) გააერთიანოს სათაო და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) უგულებელყოს თითოეულ შვილობილ საწარმოში სათაო საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სათაო საწარმოს ეკუთვნის;

გ) შეაფასოს და ასახოს არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, სათაო საწარმოს მესაკუთრეთა წილისგან განცალკევებით;

დ) შეაფასოს და ასახოს არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებში, სათავო საწარმოს აქციონერთა წილისაგან განცალკევებით.

არამაკონტროლებელი წილი წმინდა აქტივებში მოიცავს:

- არამაკონტროლებელი წილის ოდენობას თავდაპირველი გაერთიანების თარიღისათვის, რომელიც გამოთვლილია მე - 19 განყოფილების - „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ – შესაბამისად;
- გაერთიანების თარიღის შემდეგ საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარ ცვლილებებში

არამაკონტროლებელი წილის ნაწილს.

- სათაო საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნებელი მოგების ან ზარალის და საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ნაწილები/ოდენობა განისაზღვრება საკუთრების არსებული წილების საფუძველზე და მასში არ აისახება ოფციონების ან კონვერტირებადი ინსტრუმენტების შესაძლო გამოყენება ან კონვერტაცია.

- **შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები**

შიდა ჯგუფური ნაშთები და შიდა ჯგუფური ოპერაციები, მათ შორის, შემოსავლები, ხარჯები და დივიდენდები, მთლიანად უნდა გამოირიცხოს. ასევე მთლიანად უნდა გამოირიცხოს შიდა ჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება და ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორიცაა მარაგი და ძირითადი საშუალებები. შიდა ჯგუფური ზარალი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს, რაც აღიარებას საჭიროებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

- **ერთნაირი საანგარიშგებო თარიღი**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული, სათაო საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული უნდა იყოს ერთი და იმავე საანგარიშგებო თარიღისთვის, თუ ამის გაკეთება შეუძლებელი არ არის. თუ შეუძლებელია შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება სათავო საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის, სათავო საწარმომ ამგვარი შვილობილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდაცია უნდა განახორციელოს შვილობილი საწარმოს ყველაზე ბოლო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც კორექტირებული იქნება იმ მნიშვნელოვანი ოპერაციებისა თუ მოვლენების შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის პერიოდში.

- **ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკა**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და მსგავს ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ. თუ საწარმოთა ჯგუფის რომელიმე წევრი ანალოგიური ოპერაციებისა და მსგავს ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ გამოიყენებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისაგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, აუცილებელია მისი ფინანსური ანგარიშგების სათანადოდ კორექტირება, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის.

- **შვილობილი საწარმოების შეძენა და გაყიდვა**

შვილობილი საწარმოს შემოსავლები და ხარჯები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შეძენის თარიღიდან იმ თარიღამდე, როდესაც სათაო საწარმო დაკარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. როდესაც სათაო საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, შვილობილი საწარმოს გასვლიდან მიღებულ შემოსავალსა და კონტროლის დაკარგვის

თარიღისთვის არსებულ მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში), როგორც შვილობილი საწარმოს გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი.

- **წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა**

ჯგუფის ფუნქციონირებად საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები ჩაიწერება ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების გადაყვანა ანგარიშის პერიოდისათვის ხდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოსთვის არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	**31 დეკემბერი 2021**
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.2766	3.0976
1 ევრო/ლარი	4.0233	3.5040

- **ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას და საწარმოს საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

- **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**
- **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები, რომელიც მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში, ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის მატარებელია. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. ჯგუფი დეტალურად აანალიზებს სავაჭრო მოთხოვნებს, და მენეჯმენტის უშუალო ჩართულობით, ერთიანი შემუშავებული ფორმით ახდენს ფინანსური რეზერვის სამართლიანი ოდენობის განსაზღვრას.

პირველ რიგში თითოეულ სავაჭრო მოთხოვნაზე ხდება იმის ინდივიდუალური ანალიზი, ხომ არ არსებობს რწმუნება, რომ კომპანია არსებულ დავალიანებას საერთოდ ვერ დაფარავს. ამ შემთხვევაში შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნა დარეზერვდება 100 % - ით.

ასევე ფასდება, ხომ არ არის დავალიანების რაიმე ნაწილი, რომელსაც კლიენტი არ ეთანხმება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ნაწილი დარეზერვდება ასევე 100% - ით, ხოლო დარჩენილი თანხა შეფასდება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოთხოვნების პერიოდებად ჩაშლა ამ პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით დარეზერვებას:

+1 თვე	+2 თვე	+3 თვე	+4 თვე	+5 თვე	+6 თვე	+7 თვე	+8 თვე	+9 თვე	+10თვე	+11 თვე	+12 თვე
1 %	2 %	5 %	5%	5%	10%	50%	50%	50%	50%	50%	100%

თუ არსებობს კომპანიის მენეჯმენტის არგუმენტირებული რწმენა, რომ დავალიანება აუცილებლად სრულად დაიფარება, მაშინ ასეთ კონკრეტულ კლიენტზე რეზერვი აღარ შეიქმნება. ასევე, მენეჯმენტის რწმუნებითა და არგუმენტირებით, შესაძლებელია კონრკეტულ დებიტორულ დავალიანებაზე რეზერვის ინდივიდუალური წესით განსაზღვრა.

- **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება შემდეგნაირად: მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების შეკეთება, მისი მოხდენისთანავე, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

- **ცვეთა**

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს წრფივ მეთოდს, რათა მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მოხდეს მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებები იყოფა 8 სხვადასვხა ჯგუფად და თითოეულ ჯგუფზე განსაზღვრულია ცვეთისათვის წლების რაოდენობა:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები		
1	საოფისე ავეჯი	5-10 წელი
2	კომპ. ტექნიკა	5-10 წელი
3	მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
4	ტრანსპორტი	5-10 წელი
5	შენობა-ნაგებობები	35-50 წელი
6	არამატერიალური აქტივი	10 წელი
7	საოფისე ტექნიკა	5-10 წელი
8	სხვა ინვენტარი	5-10 წელი

ნარჩენი ღირებულება ის სავარაუოდო ღირებულებაა, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდის გადახედვა ხდება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში იცვლება.

- **საინვესტიციო ქონება**

ჯგუფი საინვესტიციო ქონებად აკლასიფიცირებს აქტივებს (მიწა; შენობები; ან შენობის ნაწილი; ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს და იყენებს საიჯარო შემოსავლების მიღების ან მისი საბაზრო ღირებულების პოტენციური ზრდის გამო, ან ორივე მიზნით. გარდა ისეთი მიზნებისა, როდესაც გამოიყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის, და საქმიანობის სფეროში სხვა მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და უშუალოდ მიკუთვნებად ნებისმიერ დანახარჯებს.

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება შეფასებულია თვითღირებულების მოდელით, რომლის მიხედვითაც საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება ბასს 16 -ის „ძირითადი საშუალებები“ მოთხოვნების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
შენობა	35-50 წელი

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მაშინ, თუ მოხდა ქონების გასვლა ან შეწყდა მისი ამ მიზნით გამოყენება და ამის გამო მოსალოდნელი აღარ იქნება ეკონომიკური სარგებელის მიღება. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა, გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და მოხდება სხვაობის აღიარება მოგება-ზარალში.

- **სესხები**

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითველბა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

- **საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი**

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (მიღებული და გადახდილი საკომისიოების ჩათვლით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს). საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

- **გაცემული სესხების აღრიცხვა**

ჯგუფის მიერ გაცემული სესხზე, შემდეგი ორი კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში, კომპანია შეაჩერებს პროცენტის დარიცხვას:

ა) 1 წლის განმავლობაში არ მომხდარა არც პროცენტის, არც ძირითადი თანხის მიღება (როდესაც ეს შეთანხმებული გრაფიკით გათვალისწინებული იყო).

ბ) არსებობს მენეჯმენტის შეფასება, რომ ვერ მოხდება გაცემული სესხის მიღება.

- **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

- **იჯარა**

ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ხდება განსაზღვრა, მოიცავს თუ არა ეს უკანასკნელი იჯარას. ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზეა დაფუძნებული, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მეიჯარე - ჯგუფში შემავალ კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივი. საიჯარო ვადის განმავლობაში, საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით მიმდინარე პერიოდის შემოსავლად და აღირიცხება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული, ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია, როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

- **შემოსავლის აღიარება**

ჯგუფში შემოსავლების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც მოხდა პროდუქციის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, ვინაიდან კონტროლის გადაცემა ტრანზაქციისთანავე ხდება.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს, მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის ფასდათმობის, საქონლის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

- **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად, ამ დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონომდებლობის მიხედვით.

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება ესტონური მოდელის შესაბამისად. ამ მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.

იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

- **სასაქონლო მატერიალური ფასეულობები**

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათი შეძენისა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

მარაგების აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით, უწყვეტი აღრიცხვის გზით. თუ მოხდა მარაგების გაუფასურება, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

- **წინასწარი გადახდები**

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები აქტივის საბალანსო ღირებულებაზე გადავა მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მომავალში ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების ან ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც თანხა წინასწარ იქნა გადახდილი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარი გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

- **დივიდენდები**

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

- **პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და ყოველგვარი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება დასაქმებულთა მიერ.

- **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები**

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

- **საგადასახადო კანონმდებლობა**

საგადასახადო კანონმდებლობა, თავის მხრივ, საგადასახადო კოდექსის გარდა სხვა კანონებსა და ნორმატიულ აქტებს მოიცავს. კერძოდ, საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების, საგადასახადო კოდექსისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან (ბრძანება, ბრძანებულება, დადგენილება).

საგადასახადო კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს გადასახადებით დაბეგვრისას მხოლოდ ძალაში შესული ნორმატიული აქტების გამოყენებას, რომლებიც მოქმედებს ან მოქმედებდა უშუალოდ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის, მიუხედავად იმისა, გადასახადის გადახდის მომენტში შეცვლილია თუ არა შესაბამისი ნორმატიული აქტი.

- **ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა**

ჯგუფის მენეჯმენტი ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას აკეთებს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ასეთია: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ, შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი.

5. ძირითადი საშუალებები

ვალუტა - ლარი

	მიწა და შენობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ისტორიული ღირებულება						
2021 წლის 1 იანვარი	**4,543,690**	**16,154,161**	**628,938**	**170,465**	**130,416**	**21,627,669**
შემოსვლა	677,387	5,364,329	107,258	27,467	142,022	6,318,463
გასვლა	(5,854)	(1,467,015)	(120)	(41,856)	-	(1,514,846)
2021 წლის 31 დეკემბერი	**5,215,222**	**20,051,475**	**736,076**	**156,076**	**272,438**	**26,431,287**
აკუმულირებული ცვეთა						
2021 წლის 1 იანვარი	**435,329**	**7,022,476**	**390,236**	**89,681**	**14,436**	**7,952,158**
ცვეთის ხარჯი	155,391	1,275,371	93,604	18,198	17,791	1,560,354
გასვლა	(3,179)	(331,892)	-	(31,906)	-	(366,977)
2021 წლის 31 დეკემბერი	**587,541**	**7,965,955**	**483,840**	**75,973**	**32,227**	**9,145,535**
საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 1 იანვარი	**4,108,360**	**9,131,685**	**238,702**	**80,784**	**115,980**	**13,675,511**
2021 წლის 31 დეკემბერი	**4,627,682**	**12,085,521**	**252,235**	**80,103**	**240,211**	**17,285,752**

6. არამატერიალური აქტივები

ვალუტა - ლარი

ისტორიული ღირებულება	
2021 წლის 01 იანვარი	**56,394**
შემოსვლა	121,746
გასვლა	-
2021 წლის 31 დეკემბერი	**178,140**
აკუმულირებული ცვეთა	
2021 წლის 01 იანვარი	**9,480**
2021 წ. ცვეთა	23,132
გასვლა	-
20210 წლის 31 დეკემბერი	**32,612**
საბალანსო ღირებულება	
2021 წლის 01 იანვარი	**46,914**
2021 წლის 31 დეკემბერი	**145,528**

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

ვალუტა - ლარი

პერიოდი	შპს გამომცემლობა კოლორი	შპს კოლორ პრესი	შპს კოლორპაკი	შპს ეკოპეიპერი	სს ავტომობილისტი	შპს მვპ პრინტი	ჯამი
31/12/2017	796,812	193,156	732,565	-	-	-	**1,722,533**
31/12/2018	1,387,025	77,934	1,416,165	47,729	-	-	**2,928,854**
31/12/2019	2,421,104	76,835	2,555,788	47,729	-	-	**5,101,456**
31/12/2020	664,173	69,323	4,028,038	47,729	2,081	91,841	**4,903,185**
31/12/2021	779,240	39,428	4,056,152	47,729	2,081	1,814	**4,926,444**

2021 წლის განმავლობაში გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში 24,810,863 ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური მარაგები.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ვალუტა - ლარი

პერიოდი	შპს გამომცემლობა კოლორი	შპს კოლორ პრესი	შპს კოლორპაკი	შპს ეკოპეიპერი	სს ავტომობილისტი	შპს მვპ პრინტი	ჯამი
31/12/2017	448,726	358,813	165,318	2,626	-	-	**975,483**
31/12/2018	171,116	53,271	213,258	2,651	-	-	**440,296**
31/12/2019	40,511	38,796	307,863	121	-	-	**387,290**
31/12/2020	39,150	66,409	541,272	121	895	1,822	**649,669**
31/12/2021	61,520	3,233	347,131	121	6,559	1,822	**420,510**

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ვალუტა - ლარი

პერიოდი	შპს გამომცემლობა კოლორი	შპს კოლორ პრესი	შპს კოლორპაკი	შპს ეკოპეიპერი	სს ავტომობილისტი	შპს მვპ პრინტი	ჯამი
31/12/2017	699,208	1,136,219	311,436	600,784	-	-	**2,747,647**
31/12/2018	1,220,780	680,504	788,844	652,115	-	-	**3,342,243**
31/12/2019	1,846,973	984,661	1,524,034	701,335	-	-	**5,057,003**
31/12/2020	923,907	635,641	2,807,418	701,335	46,460	397,328	**5,512,089**
31/12/2021	507,549	837,177	3,365,442	701,335	35,714	272,912	**5,720,129**

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ვალუტა - ლარი

პერიოდი	შპს გამომცემლობა კოლორი	შპს კოლორ პრესი	შპს კოლორპაკი	შპს ეკოპეიპერი	სს ავტომობილისტი	შპს მვპ პრინტი	ჯამი
31/12/2017	299,595	180,682	204,292	154,905	-	-	**839,474**
31/12/2018	626,272	37,247	389,923	296,143	-	-	**1,349,585**
31/12/2019	2,270,032	403,080	1,507,262	346,038	-	-	**4,526,412**
31/12/2020	1,791,506	123,242	2,399,439	346,038	1,674	392,120	**5,054,019**
31/12/2021	1,510,778	14,180	2,596,590	346,038	4,253	275,942	**4,747,781**

ზემოთ წარმოდგენილი ვალდებულებების პირობები შემდეგია: 1. სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად, ფინანსური წლის განმავლობაში. 2. გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს პროცენტები არ ერიცხებათ და მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

11. მიღებული სესხი

ვალუტა - ლარი

პერიოდი	შპს გამომცემლობა კოლორი	შპს კოლორ პრესი	შპს კოლორპაკი	შპს ეკოპეიპერი	სს ავტომობილისტი	შპს მვპ პრინტი	ჯამი
31/12/2017	6,208,800	-	3,485,448	32,201	-	-	**9,726,449**
31/12/2018	6,056,778	-	3,070,044	6,700	-	-	**9,133,522**
31/12/2019	7,239,843	-	8,076,663	-	-	-	**15,316,506**
31/12/2020	8,379,684	-	8,896,332	-	-	-	**17,276,016**
31/12/2021	10,143,523	-	11,369,187	-	351,507	-	**21,864,217**

12. საოპერაციო შემოსავალი

ვალუტა - ლარი

პერიოდი	შპს გამომცემლობა კოლორი	შპს კოლორ პრესი	შპს კოლორპაკი	შპს ეკოპეიპერი	სს ავტომობილისტი	შპს მვპ პრინტი	ჯამი
2018	11,876,224	3,722,860	5,223,223	136,420	-	-	**20,958,727**
2019	11,092,279	3,688,234	8,564,611	46,985	-	-	**23,392,109**
2020	6,659,770	2,780,260	17,676,717	-	192,555	1,146,275	**28,455,577**
2021	6,837,669	6,538,169	25,367,630	-	245,199	829,088	**39,817,755**

13. მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ძალაში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადის მიმართ. რეგლამენტის მიხედვით, გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე, რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ მოგების გადასახადს.

14. პირობები და ვალდებულებები

საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

- **საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც შესაძლოა ხშირად ჰქონდეს ადგილი. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია, შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა, კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში, შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და ამან გამოიწვიოს ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები, როგორსაც წარსულში ადგილი არ ქონია. შედეგად შესაძლოა შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი ინტერპრეტაცია კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და შესაბამისად, კომპანიის საგადასახადო, სავალუტო თუ საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

- **საინვესტიციო ვალდებულებები**

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ვალდებულებები არ გააჩნია.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის 05 მაისს, განხორციელდა სს ავტომობილისტის (ს/კ: 208140439) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება, კომპანიის დასახელება გახდა სს პოლიგრაფიული ჰაბი (ს/კ: 208140439).

2022 წლის 30 მაისს შპს გამომცემლობა კოლორში (ს/კ: 208149859) მოხდა რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება, შეიცვალა ორგანიზაციის მფლობელთა გადანაწილება. კომპანიის წილი მესაკუთრეებზე შემდეგი სახით გადანაწილდა: შპს პრინტ ჰაუს ინვესტმენტი (ს/კ: 402211441) - 50%, თამარ გაგნიძე (პ/ნ:01017018418) - 12%, შპს პალიტრა ჰოლდინგი - 38%.

მენეჯმენტის სახელით:

_____	_____
დირექტორი	ფინანსური მენეჯერი
სანდრო გახელაძე	თორნიკე სიმონია
27/09/2022	27/09/2022
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

შპს „გამომცემლობა კოლორი“

2021

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს „გამომცემლობა კოლორი“ პოლიგრაფიული საქმიანობით დაკავებულია 1996 წლიდან. არის დარგის ლიდერი კომპანია მაღალი ხარისხის სრული, ოპერატიული პოლიგრაფიული მომსახურებითა და კომფორტული სერვისით. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბეჭდვითი მომსახურება - წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, სარეკლამო პროდუქციის და შესაბამისი მასალების დამზადება და მიწოდება. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე საშუალო და მსხვილი ორგანიზაციები, ასევე ფიზიკური პირები. წარმოებაში დანერგილია მაღალტექნოლოგიური, უნიკალური დანადგარებით ბეჭდვა.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დამფუძნებლების მიერ დანიშნული დირექტორი.

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით ორგანიზაციის მფლობელები არიან:

- თამარ გაგნიძე
- ზაზა ბუაძე
- შპს „კვირის პალიტრა“



კომპანია ფლობს წარმოებას, საწყობსა და ოფისს, თბილისში, სამგორის რაიონში, მისამართზე - ეკატერინე ბაღდავაძის ქ. N3.

კომპანია ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში. მიღებული გამოცდილებით, სიახლეების გაცვლით, ხდება წარმოებაში სიახლეების შემოტანა და მათი დანერგვა მოწვეული, უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით. მუდმივი ზრდისთვის და განვითარებისთვის კომპანია ყოველთვის ზრუნავს თანამშორომლების გადამზადებასა და მოტივირებაზე. 2021 წლის განმავლობაში კომპანიაში საშუალოდ 135 ადამიანი იყო დასაქმებული, ხოლო მთლიანად ჯგუფში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 430 ადამიანს მიაღწია.

ჯგუფის ძირითადი მიმართულებები

- წიგნებისა და ჟურნალ - გაზეთების ბეჭდვა.
- პაკეტების, ეტიკეტისა და რბილი შეფუთვების ბეჭდვა.
- სარეკლამო პროდუქციის ბეჭდვა.
- სხვა პოლიგრაფიული მასალა და მომსახურება.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის კონკურენტული უპირატესობები შემდეგია:

- ✓ მრავალწლიანი გამოცდილება ბაზარზე.
- ✓ ტექნიკურ - ინტელექტუალური ბაზა.
- ✓ მაღალი ხარისხის მომსახურება, კონკურენტუნაირიანი ფასებით, რაც საშუალებას გვაძლევს კონკურენცია გავუწიოთ ჩვენი დარგის, მოწინავე კომპანიებს მეზობელ ქვეყნებში.
- ✓ მუდმივი ხარისხის კონტროლი და ზრუნვა მომხმარებელთა კმაყოფილებაზე, რაც მიზეზია მომხმარებლების ერთგულებისა და გრძელვადიანი თანამშრომლობისა.
- ✓ კომპანიის მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული პოზიტიური რეპუტაცია რისი მიზეზიც არის მომსახურების მაღალი ხარისხი და საიმედოობა.

კომპანიიის მთავარი მიზნებია:

- პროდუქციის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.
- კლიენტების კმაყოფილებაზე ზრუნვა და ლოიალური დამკვეთების ზრდა.
- ბიზნეს-მიმართულებების გაუმჯობესება ახალი მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიების დამატებით.
- პერსონალის კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლება.
- შრომის უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა.
- ექსპორტის განყოფილების შექმნა და ბეჭდვითი მომსახურების საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა.

შპს „გამომცემლობა კოლორის“ შვილობილი და ასოცირებული კომპანიები სტრუქტურა



შპს „გამომცემლობა კოლორი“ ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- ➢ შპს „კოლორპაკი“ - 100 %
  კომპანია დაარსდა 2005 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პაკეტების, ეტიკეტების, სტიკერებისა და რბილი შეფუთვების ბეჭდვა. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები და ფიზიკური პირები.

- შპს „კოლორ პრესი“ - 100 %
  კომპანია დაარსდა 2016 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჟურნალ - გაზეთების ბეჭდვა. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები.
- შპს „ეკო პეიპერი“ - 75 %
  კომპანია დაარსდა 2012 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქაღალდის მასის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები.
- შპს „მვპ პრინტი“ - 100 %
  კომპანია დაარსდა 2018 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პოლიგრაფიული მასალების ბეჭდვა და რეალიზაცია. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები.
- სს „ავტომობილისტი“ - 100 %
  კომპანია დაარსდა 1995 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასაცხოვრებელი უძრავი ქონების იჯარით გაცემა.
- სპს კონსორციუმი - ქართული სტამბების გაერთიანება სეზანი, ფავორიტი სტილი, გამომცემლობა კოლორი - 24.5 %
  კომპანია დაარსდა 2018 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაერთიანებული სტამბებიდან სასკოლო წიგნების შეძენა და დისტრიბუცია საგანმანათლებლო რესურს - ცენტრებში.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
სანდრო გახელაძე
27/09/2022
თბილისი, საქართველო

- **მოსაზრება**

ჩვენი აზრით, 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობითი კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობით კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მმართველობით კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-329711)

გარიგების პარტნიორი: თამარ კოკელაძე
(რეგ. № SARAS-A-977853)

- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, სადაც საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი, ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2022 წლის 27 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი სანდრო გახელაძე 27/09/2022 თბილისი, საქართველო	ფინანსური მენეჯერი თორნიკე სიმონია 27/09/2022 თბილისი, საქართველო

შპს „გამომცემლობა კოლორი"
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრები	387,290	649,669	420,510
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,101,456	4,903,185	4,926,444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,057,003	5,512,089	5,720,129
გაცემული ავანსები	130,456	469,103	446,994
გაცემული სესხები	-	18,034	656,162
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	22,605	1,338	773
ძირითადი საშუალებები	12,913,556	13,675,511	17,285,751
არამატერიალური აქტივები	35,676	46,915	145,527
სხვა საგადასახადო აქტივები	676,241	80,301	84,734
სხვა აქტივები	3,655	3,249,166	3,265,412
სულ აქტივები	**24,327,939**	**28,605,309**	**32,952,437**
ვალდებულებები			
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ	82,473	541,442	174,425
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,526,412	5,054,019	4,747,781
მიღებული ავანსები	783,267	612,554	1,326,361
მოგების გადასახადის ვალდებულება	-	13	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	111,957	266,008
აღებული სესხები	15,316,506	17,276,016	21,864,217
სხვა ვალდებულებები	8,253	4,461,173	472,893
სულ ვალდებულებები	**20,716,911**	**28,057,174**	**28,851,685**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	3,513,132	451,091	4,004,341
არაკონტროლირებადი წილი	95,897	95,044	94,412
სულ საკუთარი კაპიტალი	**3,611,029**	**548,135**	**4,100,752**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2022 წლის 27 სექტემბერს.

_____ სანდრო გახელაძე
დირექტორი

_____ თორნიკე სიმონია
ფინანსური მენეჯერი

შპს „გამომცემლობა კოლორი“
კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

	2020 წ	2021 წ
სულ წმინდა შემოსავალი	**28,455,577**	**39,817,755**
სულ თვითღირებულება	**(17,096,861)**	**(24,972,513)**
სასაქონლო მოგება	**11,358,716**	**14,845,241**
შრომის ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა სარგებელი	(5,472,969)	(6,651,372)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	(518,479)	(969,083)
ლოჯისტიკური ხარჯი	(173,727)	(254,047)
იჯარის ხარჯი	(1,169,842)	(435,915)
მარკეტინგული და კომერციული ხარჯი	-	-
რემონტის ხარჯი	(94,985)	(93,697)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(38,269)	(35,412)
საკონსულტაციო მომსახურება	(235,468)	(352,806)
საეჭვო ვალების რეზერვი	(139,944)	(578,904)
საგადასახადო ხარჯი	(188,900)	(363,092)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(375,088)	(288,918)
საპროცენტო შემოსავალი	96,058	5,782
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	61,950	1,898,936
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	903,971	533,506
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(3,301,112)	(91,527)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(117,830)	(52,239)
მოგება ცვეთის, საპროცენტო ხარჯისა და მოგების გადასახადის გარეშე	**594,080**	**7,116,453**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(2,096,301)	(1,583,489)
მოგება საპროცენტო ხარჯისა და მოგების გადასახადის გარეშე	**(1,502,221)**	**5,532,964**
საპროცენტო ხარჯი	(897,445)	(1,397,435)
მოგება მოგების გადასახადის გარეშე	**(2,399,666)**	**4,135,529**
მოგების გადასახადი	(41,123)	(60,714)
წმინდა მოგება	**(2,440,789)**	**4,074,815**
მათ შორის: წმინდა მოგების არაკონტროლირებადი ნაწილი	**(853)**	**(632)**
პერიოდის წმინდა მოგება	**(2,439,935)**	**4,075,448**
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში	**3,513,132**	**451,091**
პერიოდის წმინდა მოგება/ ზარალი	(2,439,935)	4,075,448
ინვესტირება საწესდებო კაპიტალში	-	-
გაცხადებული დივიდენდი	(622,105)	(522,198)
გაუნაწილებელი მოგების გადაფასება	-	-
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს	**451,091**	**4,004,341**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2022 წლის 27 სექტემბერი.

ბანდრო გახელაძე
დირექტორი

თორნიკე სიმონია
ფინანსური მენეჯერი

შპს „გამომცემლობა კოლორი“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

	2020 წ	2021 წ
ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი შემოდინებები საოპერაციო საქმიანობიდან	29,785,926	43,652,675
სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო ფულადი შემოდინებები	370,473	1,105,477
მომწოდებელთან გადახდილი თანხები	(15,751,301)	(26,242,830)
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(4,687,869)	(5,687,859)
კომუნიკაციის და კომუნალური გადასახადები	(492,826)	(1,003,808)
ლოჯისტიკური გადასახადები	(174,386)	(513,741)
მარკეტინგი და კომერცია	-	-
საიჯარო მომსახურება	(1,033,245)	(743,198)
რემონტი	(307,281)	(196,576)
ბანკის საკომისიო	(36,262)	(38,788)
საკონსულტაციო მომსახურება	(250,412)	(376,056)
გადახდილი გადასახადები	(1,569,150)	(3,323,351)
სხვა საოპერაციო ფულადი გადინებები	(270,267)	(308,712)
სულ ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**5,583,400**	**6,323,234**
ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი სამუალებების შეძენა	(1,062,372)	(7,072,098)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(13,687)	(33,892)
შვილობილი კომპანიის შეძენა	(1,605,671)	(3,852,096)
აქციებისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვა	304,750	-
სესხის გაცემა / უკან დაბრუნება	123,500	800
მიღებული დივიდენდი	44,343	-
მიღებული პროცენტი	4,824	8,258
სულ ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(2,204,311)**	**(10,949,028)**
ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
პროცენტის გადახდა	(834,330)	(1,377,461)
სესხის აღება / უკან დაბრუნება	(957,631)	6,144,004
აქციების ემისია	(675,781)	-
მიღებული გრანტი	-	186,049
დივიდენდის გაცემა	(648,968)	(555,958)
სულ ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(3,116,710)**	**4,396,635**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	**387,290**	**649,669**
ფული და ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდის განმავლობაში	**262,379**	**(229,159)**
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	**649,669**	**420,510**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2022 წლის 27 სექტემბერი.

_____ სანდრო გახელაძე
დირექტორი

_____ თორნიკე სიმონია
ფინანსური მენეჯერი

შპს „გამომცემლობა კოლორი“
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	*წაშთი 01.01.2021*	*არამაკონტროლებელი წილის ცვლილება*	*მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)*	*დარიცხული დივიდენდი*	*წაშთი 31.12.2021*
საწესდებო კაპიტალი	2,000	-	-	-	2,000
გაუნაწილებელი მოგება	451,091	-	4,075,448	(522,198)	4,004,341
არაკონტროლირებადი წილი	95,044	(632)	-	-	94,412
სულ კაპიტალი	**548,135**				**4,100,752**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2022 წლის 27 სექტემბერი.

_____ სანდრო გახელაძე
დირექტორი

_____ თორნიკე სიმონია
ფინანსური მენეჯერი

14. პირობები და ვალდებულებები

საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

- **საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც შესაძლოა ხშირად ჰქონდეს ადგილი. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია, შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა, კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში, შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და ამან გამოიწვიოს ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები, როგორსაც წარსულში ადგილი არ ქონია. შედეგად შესაძლოა შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი ინტერპრეტაცია კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და შესაბამისად, კომპანიის საგადასახადო, სავალუტო თუ საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

- **საინვესტიციო ვალდებულებები**

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ვალდებულებები არ გააჩნია.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის 05 მაისს, განხორციელდა სს ავტომობილისტის (ს/კ: 208140439) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება, კომპანიის დასახელება გახდა სს პოლიგრაფიული ჰაბი (ს/კ: 208140439).

2022 წლის 30 მაისს შპს გამომცემლობა კოლორში (ს/კ: 208149859) მოხდა რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება, შეიცვალა ორგანიზაციის მფლობელთა გადანაწილება. კომპანიის წილი მესაკუთრეებზე შემდეგი სახით გადანაწილდა: შპს პრინტ ჰაუს ინვესტმენტი (ს/კ: 402211441) - 50%, თამარ გაგნიძე (პ/ნ:01017018418) - 12%, შპს პალიტრა ჰოლდინგი - 38%.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
სანდრო გახელაძე
27/09/2022
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
თორნიკე სიმონია
27/09/2022
თბილისი, საქართველო

- შპს „კოლორ პრესი“ - 100 %
  კომპანია დაარსდა 2016 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჟურნალ - გაზეთების ბეჭდვა. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები.
- შპს „ეკო პეიპერი“ - 75 %
  კომპანია დაარსდა 2012 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქაღალდის მასის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები.
- შპს „მვპ პრინტი“ - 100 %
  კომპანია დაარსდა 2018 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პოლიგრაფიული მასალების ბეჭდვა და რეალიზაცია. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე ორგანიზაციები.
- სს „ავტომობილისტი“ - 100 %
  კომპანია დაარსდა 1995 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასაცხოვრებელი უძრავი ქონების იჯარით გაცემა.
- სპს კონსორციუმი - ქართული სტამბების გაერთიანება სეზანი, ფავორიტი სტილი, გამომცემლობა კოლორი - 24.5 %
  კომპანია დაარსდა 2018 წელს. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაერთიანებული სტამბებიდან სასკოლო წიგნების შემენა და დისტრიბუცია საგანმანათლებლო რესურს - ცენტრებში.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
სანდრო გახელაძე
27/09/2022
თბილისი, საქართველო